დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

სადოქტორო შრომების შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელი წესი

თბილისი

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში სადოქტორო შრომის შეფასების და დაცვის პროცედურები ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და დტსუ-ს სადოქტორო სწავლების მარეგულირებელ დოკუმენტებში ასახული წესის დაცვით:

სადისერტაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ სადისერტაციო საბჭოს შედგენის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესსა და პირობებს.

2. დოქტორის აკადემიური ხარისხი შეიძლება მიენიჭოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელმაც გაიარა დოქტორანტურის სრული კურსი (იხ. დტსუ-ს სადოქტორო პროგრამა ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში), შეასრულა პროგრამითა და დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, გაიარა ყველა დადგენილი პროცედურა და წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით დაიცვა დისერტაცია.

მუხლი 2. სადისერტაციო საბჭო

1. დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭო (შემდგომში სადისერტაციო საბჭო) არის მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომლის გადაწყვეტილებას ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

2. სადისერტაციო საბჭოს ფორმირება ინდივიდუალური სადოქტორო პროექტის კვლევითი ნაშრომის (დისერტაცია) შესაფასებლად (დაცვისთვის) ხდება აკადემიურ საბჭოზე.

3. სადისერტაციო საბჭო იქმნება 10 წევრის შემადაგენლობით.

4. სადისერტაციო საბჭოს წევრად შეიძლება მოწვეულ იქნას შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

5. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეობს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე /პრორექტორი სამეცნიერო დარგში (ან სხვა პირი აკადემიური საბჭოს შემადგენლობიდან, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით) სხდომის წაყვანისა და პროცედურული საკითხების დაცვის

მიზნით; მას ასევე შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობა, ამასთან იგი არ მონაწილეობს ხარისხის მინიჭებისთვის გამართულ ფარულ კენჭისყრაში.

6. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ დისერტანტის ხელმძღვანელი/-ები, დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი.

7. დისერტაციის საჯარო დაცვაზე დაშვების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე განსაზღვრავს დისერტაციის დაცვის თარიღს.

8. საკვალიფიკაციო საბჭოს წევრებს ავტორეფერატი ურიგდებათ დაცვამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე.

9. დისერტაციის დაცვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 სამუშაო თვეს სადოქტორო კომიტეტის მიერ საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნების დამტკიცების დღიდან.

10. დისერტაციის წარდგენა და დაცვა ხდება სახელმწიფო ენაზე. დისერტაციის წარდგენა ან დაცვა რომელიმე სხვა ენაზე დასაშვებია სადოქტორო კომიტეტის გადაწყვეტილებით.

11. სადისერტაციო საბჭოში საქმის წარმოებას, დოკუმენტების მიღებას, აღრიცხვას და შენახვას უზრუნველყოფს სადოქტორო კომიტეტის სწავლული მდივანი.

მუხლი 3. მოთხოვნები სადისერტაციო ნაშრომისადმი

1. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ნაშრომის მომზადება უნდა მოხდეს დოქტორანტურის შესახებ დებულებით დადგენილი წესით.

2. სადისერტაციო საბჭოს უფლება აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი მიანიჭოს მხოლოდ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ დარგში და სამეცნიერო-კვლევით ნაშრომში.

3. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია უნდა იყოს დასრულებული სამეცნიერო კვლევა, რომელშიც განხილულია აქტუალური სამეცნიერო პრობლემა (პრობლემები) და მიღებულია შესაბამის დარგში არსებული საერთაშორისო დონის თეორიული, ექსპერიმენტული ან/და კლინიკური შედეგები.

4. დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებული უნდა იყოს დარგის რეცენზირებად და რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში, შრომათა კრებულებსა და მონოგრაფიებში, რომლებიც იბეჭდება საქართველოსა და საზღვარგარეთის გამოცემებში და ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით. სამეცნიერო შრომების მინიმალური რაოდენობაა 5, აქედან მინიმუმ 3 სტატიის ფორმატის.

5. დისერტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატში, სათანადო ფორმით სტრუქტურირებული ნაშრომის სახით.

6. ავტორეფერატი წარმოდგენილი უნდა იყოს სათანადო ფორმით (A 5 ფორმატი) ორ ენაზე: ქართულად და ინგლისურად.

მუხლი 4. დისერტაციის საჯარო დაცვის პროცედურა:

1. სადისერტაციო საბჭოს სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს საბჭოს წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი.

2. პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს საბჭო იღებს ხმათა უმრავლესობით.

3. ხარისხის მინიჭებისთვის საჭიროა კენჭისყრაში წევრთა ხმების მინიმუმ სამი მეოთხედის მიღება.

4. სხდომის მიმდინარეობა:

4.1. თავმჯდომარე ხსნის სხდომას, აცხადებს საბჭოს დამსწრე წევრთა რაოდენობას და ქვორუმის არსებობის შემთხვევაში სხდომას უფლებამოსილად აცხადებს.

4.2. თავმჯდომარე აცხადებს დღის წესრიგს, დისერტანტის ვინაობას, პაექრობისთვის გამოტანილი სადისერტაციო ნაშრომის დასათაურებას, შესრულების ადგილს, სამეცნიერო ხელმძღვანელების და ოპონენტების ვინაობას.

4.3. თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სადოქტორო კომიტეტის სწავლულ მდივანს დისერტაციასთან დაკავშირებული მასალების გასაცნობად.

4.4. სწავლული მდივანი აწვდის ინფორმაციას ექსპერტების დასკვნების და დისერტაციის თაობაზე შემოსული სხვა დოკუმენტების შესახებ.

4.5. თავმჯდომარე სიტყვას აძლევს დისერტანტს დისერტაციის ძირითადი შინაარსის მოხსენებისათვის (15-20 წუთი).

4.6. თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ექსპერტებს (ოპონენტებს) თავიანთი დასკვნის და შენიშვნების/შეკითხვების გამოსათქმელად.

4.7. თავმჯდომარე მიმართავს საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას თუ აქვთ შეკითხვები მოხსენებასთან დაკავშირებით.

4.8. თავმჯდომარე სიტყვას აძლევს დისერტანტს საბჭოს წევრების და დამსწრე საზოგადოების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად, ასევე ექსპერტთა (ოპონენტების) შენიშვნებზე კომენტარის გასაკეთებლად.

4.9. თავმჯდომარე მიმართავს საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას, მონაწილეობა მიიღონ დისერტაციის საჯარო განხილვაში.

4.10. თავმჯდომარე სიტყვას აძლევს დისერტანტს პასუხი გასცეს პაექრობაში მონაწილე პირებს.

4.11. თავმჯდომარის წინადადებით ხდება ფარული კენჭისყრისთვის ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა დასახელება საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან.

4.12. ტარდება ხმისდამთვლელი კომისიის წევრთა კანდიდატურებზე კენჭისყრა.

4.13. ცხადდება შესვენება ფარული კენჭისყრისთვის.

4.14. თავმჯდომარე აგრძელებს სხდომას, სიტყვას აძლევს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს კენჭისყრის შეგედების გამოსაცხადებლად.

4.15. აძლევს დისერტანტს დასკვნითი სიტყვის წარმოთქმის უფლებას.

მუხლი 4[1]. დისერტაციის საჯარო დაცვის პროცედურა დაცვის on-line რეჟიმში წარმართვისას.

1. on-line რეჟიმში სხდომის უფლებამოსილების (მუხლი 4, #1), პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილებების (მუხლი 4, #2), და ხარისხის მინიჭებისთვის საჭირო ხმების მიღებასთან (მუხლი 4, #3) მიმართებაში ყველა საკითხი უცვლელად ხორციელდება.
2. on-line რეჟიმში სხდომის მიმდინარეობის (მუხლი 4, #4) ყველა ქვეპუნქტი უცვლელად უნდა შესრულდეს, გარდა აღნიშნული მუხლის #4 პუნქტის შემდეგი ქვეპუნქტებისა (4.11; 4.12; 4.13; 4.14;).
3. ამ მუხლის #2-ით გათვალისწინებული ქვეპუნქტები (4.11; 4.12; 4.13; 4.14;) on-line რეჟიმში სხდომის ჩატარებისას გაუქმებულად ითვლება და სრულდება ქვემოთ ჩამოთვლილის მიხედვით:
   3.1. სხდომის თავმჯდომარე (არ მონაწილეობს ხარისხის მინიჭებისთვის გამართულ კენჭისყრაში, იხ. წინამდებარე დოკუმენტის მუხლი #2-ის პუნქტი #5) მიმართავს საბჭოს წევრებს კანდიდატისთვის ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული ინდივიდუალური გადაწყვეტილება ასახონ ელექტრონულ ბიულეტინში და კანდიდატის შეფასების ელექტრონულ კითხვარში; იგი კიდევ ერთხელ აჟღერებს, რომ კენჭისყრაში მონაწილეთა შეფასების კონფიდენციალურობა გარანტირებულია გამოყენებული ელექტრონული რესურსის მეშვეობით.
   3.2. შეჯამებული მონაცემები მყისიერად აისახება on-line პლატფორმაზე ელექტრონული რესურსის მეშვეობით, რომელსაც (კენჭისყრის შედეგებს) ასევე აჟღერებს სხდომის თავმჯდომარე.
   3.3. დისერტანტის საბოლოო სიტყვის შემდგომ სხდომა დახურულად ცხადდება და on-line სხდომის ჩანაწერი (სხდომის ოქმისთვის) ინახება კანდიდატის პირად საქმეში.

მუხლი 4[2]. დისერტაციის საჯარო დაცვის პროცედურა დაცვის ჰიბრიდულ რეჟიმში წარმართვისას. * შენიშვნა- ჰიბრიდული ნიშნავს (ამ დოკუმენტში გამოყენების მიზნებისთვის) სხდომის ჩატარებას იმგვარ რეჟიმში, როცა იგი ტარდება საუნივერსიტეტო სივრცეში, ამასთან სხდომის ზოგიერთი წევრი იძულებულია ჩაერთოს პროცესში on-line.

დისერტაციის საჯარო დაცვის პროცედურა დაცვის ჰიბრიდულ რეჟიმში წარმართვისას.

1. ჰიბრიდულ რეჟიმში სხდომის უფლებამოსილების (მუხლი 4, #1), პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილებების (მუხლი 4, #2), და ხარისხის მინიჭებისთვის საჭირო ხმების მიღებასთან (მუხლი 4, #3) მიმართებაში ყველა საკითხი უცვლელად ხორციელდება.
2. ჰიბრიდულ რეჟიმში სხდომის მიმდინარეობის (მუხლი 4, #4) ყველა ქვეპუნქტი უცვლელად უნდა შესრულდეს, გარდა აღნიშნული მუხლის #4 პუნქტის შემდეგი ქვეპუნქტებისა (4.11; 4.12; 4.13; 4.14;).
3. ამ მუხლის #2-ით გათვალისწინებული ქვეპუნქტები (4.11; 4.12; 4.13; 4.14;) ჰიბრიდულ რეჟიმში სხდომის ჩატარებისას გაუქმებულად ითვლება და სრულდება ქვემოთ ჩამოთვლილის მიხედვით:
   3.1. სხდომის თავმჯდომარე (არ მონაწილეობს ხარისხის მინიჭებისთვის გამართულ კენჭისყრაში, იხ. წინამდებარე დოკუმენტის მუხლი #2-ის პუნქტი #5) მიმართავს საბჭოს წევრებს კანდიდატისთვის ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული ინდივიდუალური გადაწყვეტილება ასახონ ელექტრონულ ბიულეტინში და კანდიდატის შეფასების ელექტრონულ კითხვარში; იგი კიდევ ერთხელ აჟღერებს, რომ კენჭისყრაში მონაწილეთა შეფასების კონფიდენციალურობა გარანტირებულია გამოყენებული ელექტრონული რესურსის მეშვეობით. თითოეული ადგილზე მყოფი საბჭოს წევრი უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის მიერ ელექტრონული რესურსით.
   3.2. შეჯამებული მონაცემები მყისიერად აისახება on-line პლატფორმაზე ელექტრონული რესურსის მეშვეობით, რომელსაც (კენჭისყრის შედეგებს) ასევე აჟღერებს სხდომის თავმჯდომარე.
   3.3. დისერტანტის საბოლოო სიტყვის შემდგომ სხდომა დახურულად ცხადდება და ჰიბრიდული სხდომის ჩანაწერი (სხდომის ოქმისთვის) ინახება კანდიდატის პირად საქმეში.

მუხლი 5. აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება

1. სადისერტაციო საბჭო დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით. კენჭისყრის გასამართავად აუცილებელია კვორუმის არსებობა. ხარისხის მინიჭებისათვის საჭიროა კენჭისყრაში მონაწილე წევრთა ხმების სულ ცოტა სამი მეოთხედის მიღება. კენჭისყრა და კენჭისყრის შედეგების დაფიქსირება ხდება სადისერტაციო საბჭოს მიმართ დადგენილი პროცედურული მოთხოვნების შესაბამისად.

2. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების (არმინიჭების) შესახებ სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარე გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 7 დღის ვადაში აცნობს აკადემიური საბჭოს წევრებს.

3. აკადემიური საბჭო, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების განხილვისას, აფასებს:

3.1. ხარისხის მაძიებლის მიერ დაგროვილი კრედიტების შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ მინიმუმთან და სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისათვის დადგენილი მოთხოვნების და პროცედურების დაცულობის ხარისხს;

3.2. საექსპერტო კომისიის (ოპონენტების) დასკვნებს;

3.3. სადისერტაციო საბჭოს მიერ სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვისათვის დადგენილი პროცედურების დაცულობის ხარისხს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი საკითხების განხილვისას აკადემიური საბჭო იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

4.1. ხარისხის მაძიებლისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;

4.2. ხარისხის მაძიებლისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

5. ხარისხის მაძიებელს უფლება აქვს:

5.1. მოითხოვოს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმის ასლი;

5.2. გააპროტესტოს ფარული კენჭისყრის შედეგები სხდომის დასრულებიდან არა უგვიანეს სამი დღის ვადაში, თუ, მისი აზრით, დაცვის მსვლელობისას მოხდა პროცედურული დარღვევები;

5.3. ერთი წლის ვადაში კვლავ წარმოადგინოს დასაცავად დისერტაციის გადამუშავებული ვარიანტი, რომლის განხილვაც მოხდება იგივე წესით.

6. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ხარისხის მაძიებლის მიერ დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

დანართი 1

სადისერტაციო საბჭოში წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

1. ავტობიოგრაფია.
2. განცხადება აკადემიური საბჭოს თავჯდომარის სახელზე.
3. შუამდგომლობა დისერტაციის წარმდგენი ორგანიზაციიდან.
4. პირველადი მასალის შემოწმების შესახებ დასკვნა.
5. სამეცნიერო შრომების სია თანდართული პირველწყაროებით და ქსეროასლებით.
6. დისერტაციის წინასწარი განხილვის (აპრობაციის) ოქმი.
7. სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა.
8. დოქტორანტურის სასწავლო პროგრამის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი.
9. დისერტაცია – ხელნაწერი და ელექტრონული ვერსია.
10. ავტორეფერატი დაბეჭდილი ორ ენაზე.

დანართი 2

აკადემიური საბჭოსთვის სადისერტაციო საბჭოს მიერ წარსადგენი დოკუმენტები:

1. დისერტაციის დაცვის ოქმი.
2. დანართი 1-ით გათვალისწინებული, სადისერტაციო საბჭოზე წარდგენილი დოკუმენტები.
3. ექსპერტთა (ოპონენტთა) დასკვნები.
4. დოქტორის აკადემიური ხარისხის დიპლომის პროექტი.

დანართი 3

დისერტაციის დაცვის წინა პროცედურები:

1. ნაშრომის სადისერტაციო საბჭოზე წარდგენის წინაპირობაა მისი წინასწარი განხილვა (აპრობაცია) იმ სტრუქურულ ქვედანაყოფში და/ან დეპარტამენტში, სადაც შესრულდა სადოქტორო პროგრამა.

2. სადისერტაციო ნაშრომი შესაძლებელია წარდგენილი და მხარდაჭერილი იქნეს პროფესიული/დარგობრივი ასოციაციების მიერ.

3. კვლევის პირველადი მასალის ობიექტურობა და სარწმუნოება დგინდება სადოქტორო კომიტეტის მიერ ჩატარებული სპეციალური ექსპერტიზით.

4. პირველადი მასალის სასწავლო, კვლევით ან კლინიკურ დაწესებულებაში მოპოვების შემთხვევაში მის სანდოობას წერილობით ადასტურებს შესაბამისი დეპარტამენტის/დაწესებულების ხელმძღვანელი.

5. წინასწარი განხილვა (აპრობაცია) ფორმდება სხდომის ოქმის სახით, მტკიცდება დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ და გადაეცემა დოქტორანტს.

6. სადოქტორო კომიტეტი საექსპერტო კომისიის (ოპონენტების) შემადგენლობას დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

7. საექსპერტო კომისია იქმნება არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით. საექსპერტო კომისიის წევრები უნდა იყვნენ მეცნიერების იმ დარგის წარმომადგენლები, რომელშიც შესრულებულია დისერტაცია.

8. საექსპერტო კომისიაში არ შეიძლება შედიოდნენ: დისერტანტის ხელმძღვანელი, დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი, იმ დეპარტამენტის წარმომადგენელი, სადაც მუშაობს დისერტანტი ან შესრულდა სადისერტაციო ნაშრომი (ნაშრომის ნაწილი).

9. საექსპერტო კომისიის სამუშაო დოკუმენტაცია და დასკვნა, მისი სადოქტორო კომიტეტისთვის გადაცემამდე, განიხილება კონფიდენციალურად. ამ დოკუმენტაციის კონფიდენციალობის დარღვევისათვის საექსპერტო კომისიის წევრს ეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. საექსპერტო კომისიის დასკვნაში შეფასებულია ჩატარებული კვლევის აქტუალობა, სიახლე, ორიგინალობა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის დიზაინის და მეთოდოლოგიის ადეკვატურობა, დისერტაციის სტრუქტურა, გაფორმების ხარისხი და ენობრივი გამართულობა.

11. საექსპერტო კომისიის ყველა წევრთა (ოპონენტების) დადებითი დასკვნის შემთხვევაში დისერტაცია განსახილველად და საჯარო დაცვისათვის გადაეცემა სადისერტაციო საბჭოს, რომელიც არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით იქმნება კონკრეტული სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის.

12. საექსპერტო კომისიის (ოპონენტების) უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დისერტაცია უბრუნდება დისერტანტს და მისი ხელახალი წარდგენა შეიძლება არა უადრეს ერთი წლისა.

13. არაარსებითი ხასიათის შენიშვნების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება აქვს მათი გათვალისწინებით ცვლილებები შეიტანოს დისერტაციაში, რაც დაცვამდე ერთი თვით ადრე წერილობით უნდა აცნობოს სადოქტორო კომიტეტს.

14. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობას, დისერტაციის თემატიკის და სადოქტორო კომიტეტის წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო. სადისერტაციო საბჭოს წევრად შეიძლება მოწვეულ იქნას შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

15. დისერტაციის წარდგენა და დაცვა ხდება სახელმწიფო ენაზე. დისერტაციის წარდგენა ან დაცვა დასაშვებია ინგლისურ ენაზე, სადოქტორო კომიტეტის გადაწყვეტილებით.

დოქტორანტურის დებულება

თავი I

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება დოქტორანტურის შესახებ (შემდგომში დებულება) აწესრიგებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში დაშვების, მონაწილეობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესსა და პირობებს.

2. დოქტორანტურის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე კადრის მომზადება შემდგომი სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობისთვის, რომელიც მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

3. წინამდებარე დებულებისა და ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დოქტორანტურის აკადემიურ და ადმინისტრაციულ იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელია აკადემიური საბჭო, ხოლო მართვას ახორციელებს ფაკულტეტზე არსებული სადოქტორო კომიტეტი.

თავი II

მუხლი 1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებს, რომლის არჩევანი გამჭვირვალეა ყველა დოქტორანტობის კანდიდატისთვის.
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30 კრედიტს.
3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს:
   3.1. კვლევით კომპონენტში:
      3.1.1. სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სხვა მკვლევარებთან აქტიური ურთიერთთანამშრომლობით შესრულებულ კვლევის დამოუკიდებელ ნაწილს.
      3.1.2. კურსებისა და მითითებების (ინსტრუქციების) დამტკიცებულ ნუსხას.
      3.1.3. აქტიურ საკვლევ გარემოში (ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე) მონაწილეობას.
      3.1.4. დისერტაციის (სამეცნიერო ნაშრომის) შესრულებას.
      3.1.5. დისერტაციის ძირითადი შედეგების ამსახველ მინიმუმ ხუთ სამეცნიერო პუბლიკაციას, აქედან მინიმუმ 3 სტატიას რეფერირებად გამოცემებში.
      3.1.6. დისერტაციის დაცვას.
   3.2. სასწავლო კომპონენტში:
      3.2.1. დისერტაციაზე სამუშაოდ აუცილებელ აკადემიურ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას და დოქტორანტის მიერ საკვლევი სფეროს ღრმად დაუფლებას.
      3.2.2. სასწავლო კომპონენტის 30 კრედიტიდან 15 ეთმობა თეორიული სასწავლო კურსების ზოგად მოდულს, ხოლო დანარჩენი 15 - არჩევით დარგობრივ სასწავლო კურსებს/მოდულებს.
4. სადოქტორო პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მიიღება წინასწარი ექსპერტიზის შემდეგ. პროგრამის წინასწარ ექსპერტიზას ატარებს სადოქტორო კომიტეტის მიერ შერჩეული შესაბამისი დარგის ორი სპეციალისტი, რომელთაგან ერთი - შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტია. საჭიროების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი ექსპერტიზა.
5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულებები საქართველოს და უცხოეთის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებთან.

6. სადოქტორო სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი და/ან დარგის აღიარებული ექსპერტი, აქტიური მკვლევარი.
7. დოქტორანტურაში ჩაბარების შემდეგ, აკადემიური საბჭოზე მოსმენის და საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი ერთვება კონკრეტულ სადოქტორო სამეცნიერო-კვლევით პროგრამაში. სასწავლო და კვლევითი კომპონენტის კრედიტების განაწილებას და დატვირთვას სამეცნიერო ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან შეთანხმებით განსაზღვრავს სადოქტორო კომიტეტი და ამტკიცებს აკადემიური საბჭო.
8. სადისერტაციო მასალების პუბლიკაციისათვის რეკომენდებულ ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემათა ნუსხას და კრიტერიუმებს სადოქტორო კომიტეტის წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

მუხლი 2. დოქტორანტურაში მიღება

1. დოქტორანტურაში მიღება წარმოებს ღია კონკურსის საფუძველზე სადოქტორო პროგრამაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის თანახმად.
2. დოქტორანტურაში მისაღები კონკურსის შესახებ ინფორმაცია თავსდება სასწავლებლის ვებ-გვერდზე და ქვეყნდება პრესაში.
3. დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა საბუთები საკონკურსოდ მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან 1 თვის შემდეგ.
4. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი დოკუმენტები (დანართი 1).
5. კონკურსი უნდა ჩატარდეს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი პროცედურებით.

მუხლი 3. დოქტორანტურაში სწავლა

1. დოქტორანტურაში სწავლის ვადა განისაზღვრება მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 6 წლით.
2. დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ხელს უწყობს დოქტორანტის მობილობას საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას.
3. სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება აქვს ისარგებლოს აკადემიური და სადეკრეტო შვებულებით, ან სხვა მიზეზით, რომლის დროსაც მას უჩერდება სტუდენტის აქტიური სტატუსი.
4. დისერტაციის დაცვაზე წარდგენამდე დოქტორანტს დასრულებული უნდა ჰქონდეს სასწავლო კომპონენტები.
5. სადოქტორო კომიტეტს შეუძლია გაათავისუფლოს დოქტორანტი სასწავლო კომპონენტის რომელიმე სასწავლო კურსის გავლისგან იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს შესრულებული ექვივალენტური კრედიტები სხვა აღიარებულ უმაღლეს სასწავლებელსა ან/და ორგანიზაციაში.
6. სტუდენტი და ძირითადი ხელმძღვანელი ეტაპობრივად უნდა ახსენებდეს სადოქტორო კომიტეტს გეგმის შესაბამისი პროგრესის ანგარიშს, ნებისმიერ ცვლილებებს და აუცილებელ ღონისძიებებს.

მუხლი 4. სადისერტაციო ნაშრომი

1. დოქტორანტურაში სწავლა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვით;
2. სადისერტაციო ნაშრომი (დისერტაცია) უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის კვლევითი მუშაობის შედეგს და შეიცავდეს სამეცნიერო სიახლეს:
   2.1 დისერტაცია უნდა იყოს აკადემიური სამუშაოს დამოუკიდებელი ნაწილი, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და რომელიც არის მტკიცებულებების, კონცეპტუალური მოსაზრებების, მეთოდოლოგიური, თეორიული და ემპირიული აღმოჩენების, გაფორმებისა და წარდგენის თვალსაზრისით

შესრულებული მაღალ აკადემიურ დონეზე. დისერტაციას უნდა შეჰქონდეს წვლილი ახალი ცოდნის განვითარებაში და იგი უნდა წარმოადგენდეს სამეცნიერო პუბლიკაციის ღირსეულ დონეს.

2.2. თანაავტორობით შესრულებული კვლევა შეიძლება აღიარებულ იყოს, როგორც სადოქტორო დისერტაციის ნაწილი. დოქტორანტის ინდივიდუალური მონაწილეობის იდენტიფიკაციისა და დადასტურების არსებობის შემთხვევაში განხილული და აღიარებული უნდა იყოს სადოქტორო კომიტეტის მიერ.

2.3 ადრე ჩატარებული კვლევა არ იქნება ჩათვლილი, როგორც სადოქტორო დისერტაციის ნაწილი, იმ გამონაკლისის გარდა, როცა ის რიგი დაკავშირებული კვლევების მხოლოდ მცირე სადისერტაციო ფრაგმენტია.

3. დისერტაცია საქართველოს მოქალაქის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ან ინგლისურ ენაზე. მას აუცილებლად უნდა ახლდეს დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი ქართული და ინგლისურენოვანი ვერსია (ავტორეფერატი).

4. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი უნდა შეიცავდეს ხარისხის დამტკიცების თარიღს, აკადემიური პროგრამის შესახებ ინფორმაციას, რომელშიც მონაწილეობდა დოქტორანტი და დისერტაციის სათაურს. დამატებით გაიცემა ტრანსკრიპტი, რომელშიც მითითებული იქნება დისერტაციის სათაური, ინფორმაცია სასწავლო კომპონენტების შესახებ და ხელმძღვანელების სრული სახელები.

5. დოქტორანტისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია პირადი განცხადება ან ხელშეკრულების პირობების დარღვევა.

მუხლი 5. დისერტაციის წარდგენა

1. ნაშრომის სადისერტაციო საბჭოზე წარდგენის წინაპირობაა მისი წინასწარი განხილვა (აპრობაცია) იმ სტრუქურულ ქვედანაყოფში და/ან დეპარტამენტში, სადაც შესრულდა სადოქტორო პროგრამა.
   აპრობაციის პროცედურის დაწყებამდე სადოქტორო კომიტეტი ამოწმებს:

   1.1. პროგრამის სასწავლო (ზოგადი და დარგობრივი) კომპონენტების შესრულებას.

   1.2. დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ სადოქტორო კვლევის შედეგების პუბლიკაციასთან მიმართებაში არსებული მოთხოვნების შესრულებას.

   1.3. კვლევის პირველადი მასალის ობიექტურობა და სარწმუნოება დგინდება სადოქტორო კომიტეტის მიერ ჩატარებული სპეციალური ექსპერტიზით.

2. სადისერტაციო ნაშრომი შესაძლებელია წარდგენილი და მხარდაჭერილი იქნეს პროფესიული/დარგობრივი ასოციაციების მიერ.
3. პირველადი მასალის სასწავლო, კვლევით ან კლინიკურ დაწესებულებაში მოპოვების შემთხვევაში მის სანდოობას წერილობით ადასტურებს შესაბამისი დეპარტამენტის/დაწესებულების ხელმძღვანელი.
4. წინასწარი განხილვა (აპრობაცია) ფორმდება სხდომის ოქმის სახით, მტკიცდება დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ და გადაეცემა დოქტორანტს.
5. სადოქტორო კომიტეტი აპრობაციის ოქმის, დოქტორანტის და მისი ხელმძღვანელის ანგარიშის საფუძველზე გეგმავს შემდგომ პროცედურას: აკადემიურ საბჭოზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით შეარჩევს დისერტაციის დაცვისათვის საჭირო ექსპერტთა (ოპონენტები და სადისერტაციო საბჭოს წევრები) შემადგენლობას.
6. საექსპერტო კომისია (ოპონენტები) იქმნება არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით. საექსპერტო კომისიის წევრები უნდა იყვნენ მეცნიერების იმ დარგის წარმომადგენლები, რომელშიც შესრულებულია დისერტაცია.
7. საექსპერტო კომისიაში არ შეიძლება შედიოდნენ: დისერტანტის ხელმძღვანელი, დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი, იმ დეპარტამენტის წარმომადგენელი, სადაც მუშაობს დისერტანტი ან შესრულდა სადისერტაციო ნაშრომი (ნაშრომის ნაწილი).

8. სადისერტაციო საბჭოს წევრებში არ უნდა შედიოდნენ: დისერტანტის ხელმძღვანელი და დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი.
9. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობას, დისერტაციის თემატიკისა და ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით, სადოქტორო კომიტეტის თავჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო. სადისერტაციო საბჭოს წევრად შეიძლება მოწვეულ იქნას შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეობს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. იგი არ მონაწილეობს ხარისხის მინიჭებისათვის გამართულ ფარულ კენჭისყრაში და მისი ძირითადი ფუნქციაა დაცვის მიმდინარეობის პროცედურული საკითხების დაცვა (იხ. მუხლი 4 „დისერტაციის საჯარო დაცვის პროცედურა“ და მუხლი 4[1] დისერტაციის საჯარო დაცვის პროცედურა დაცვის on-line რეჟიმში წარმართვისას“ - სადისერტაციო საბჭოს დებულებაში).
10. საექსპერტო კომისიის სამუშაო დოკუმენტაცია და დასკვნა, მისი სადოქტორო კომიტეტის თავმჯომარისთვის გადაცემამდე, განიხილება კონფიდენციალურად. ამ დოკუმენტაციის კონფიდენციალობის დარღვევისათვის საექსპერტო კომისიის წევრს ეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11. საექსპერტო კომისიის წევრები დასკვნას გადასცემენ სადოქტორო კომიტეტის თავმჯდომარეს. დასკვნაში უნდა შეფასდეს ჩატარებული კვლევის აქტუალობა, სიახლე, ორიგინალობა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის დიზაინის და მეთოდოლოგიის ადეკვატურობა, დისერტაციის სტრუქტურა, გაფორმების ხარისხი და ენობრივი გამართულობა.
12. საექსპერტო კომისიის ყველა წევრთა (ოპონენტების) დადებითი დასკვნის შემთხვევაში დისერტაცია განსახილველად და საჯარო დაცვისათვის გადაეცემა სადისერტაციო საბჭოს, რომელიც არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით იქმნება კონკრეტული სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის.
13. საექსპერტო კომისიის (ოპონენტების) უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დისერტაცია უბრუნდება დისერტანტს და მისი ხელახალი წარდგენა შეიძლება არა უადრეს ერთი წლისა.
14. არაარსებითი ხასიათის შენიშვნების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება აქვს მათი გათვალისწინებით ცვლილებები შეიტანოს დისერტაციაში, რაც დაცვამდე ერთი თვით ადრე წერილობით უნდა აცნობოს სადოქტორო კომიტეტს.
15. დისერტაციის საჯარო დაცვაზე დაშვების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარე განსაზღვრავს დისერტაციის დაცვის თარიღს.
16. სადისერტაციო საბჭოს წევრებს ავტორეფერატი ურიგდებათ დაცვამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე.
17. დისერტაციის დაცვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 სამუშაო თვეს სადოქტორო კომიტეტის მიერ საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნების დამტკიცების დღიდან.
18. დისერტაციის წარდგენა და დაცვა ხდება სახელმწიფო ენაზე. დისერტაციის წარდგენა ან დაცვა რომელიმე სხვა ენაზე დასაშვებია სადოქტორო კომიტეტის გადაწყვეტილებით.

დანართი 1

დოქტორანტურის კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

1. განცხადება რექტორის სახელზე;
2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. ავტობიოგრაფია;
4. ფოტოსურათი 3X4 (2 ცალი);
5. უმაღლესი განათლების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (დედანი და ქსეროასლების თითო ეგზემპლარი);
6. სამედიცინო საქმიანობის სალიცენზიო სერტიფიკატი (კლინიკური მიმართულებებისთვის);

7. სამეცნიერო შრომების სია (არსებობის შემთხვევაში) თანდართული პირველწყაროებით და ქსეროასლებით (1 ეგზემპლარი);
8. 2 დახასიათება:
   8.1. თუ აპლიკანტი მუშაობს, ერთი - აპლიკანტის ბოლო სამუშაო ადგილიდან დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერით, და ერთი - უმაღლესი სასწავლებლის პროფესორისგან;
   8.2. თუ აპლიკანტი არ მუშაობს, ორივე - უმაღლესი სასწავლებლის პროფესორისგან.
9. შევსებული სააპლიკაციო ფორმა.